

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება № 267

(ოქმი № 275)

თბილისი,

2014 წლის 18 ივლისი

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს ა/წ 24 აპრილს საჩივრით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირმა ნინო ბოლქვაძემ იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარებისას, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან "მაუწყებლობის შესახებ" კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევების შესახებ.

საჩივრის ავტორებს მიაჩნდათ, რომ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან დაირღვა "მაუწყებლობის შესახებ" კანონის 16(ა) მუხლი, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17, 31-ე და 33(3) მუხლები და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ქცევის კოდექსის მე-15 მუხლი, რის გამოც, მათ მოითხოვეს, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს განეხილა წარმოდგენილი საჩივარი და ემსჯელა ქცევის კოდექსის ზემოთ ხსენებული მუხლების დარღვევის შემთხვევებზე. გარდა ამისა, საჩივრის ავტორებმა შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელობას.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 59¹ (1) მუხლის თანახმად, ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე, ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. შესაბამისად, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომლის დებულებაც დამტკიცებულია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდგომში - "საზოგადოებრივი მაუწყებელი") გენერალური დირექტორის 2010 წლის 14 იანვრის ბრძანებით შექმნილია თვითრეგულირების ორგანო/კომისია (შემდგომში - "კომისია"), რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს წარმოდგენილ საჩივრებს. დებულების თანახმად, კომისიის დასკვნის საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი.

1.2.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს წარუდგინა შესაბამისი დასკვნა, რომლის საფუძველზეც, გენერალური დირექტორის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილების თანახმად, იმისათვის, რომ დადგინდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან საჩივარში აღნიშნული ნორმების დარღვევა, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში

სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარი, რათა მოხდეს მისი სწორი სამართლებრივი შეფასება. სასულიერო პირის კომენტარის შინაარსიდან გამომდინარე, სასულიერო პირი აფიქსირებს ეკლესიის პოზიციას პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტთან დაკავშირებით და თხოვს კანონმდებელს, არ იქნეს კანონი მიღებული იმ სახით, რაც მისი აზრით მიუღებელია ეკლესიისთვის და ეწინააღმდეგება საეკლესიო სწავლებას და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული დაპირისპირება საზოგადოებაში, რისი სურვილიც არ უნდა იყოს.

ამდენად, სასულიერო პირის კომენტარის სამართლებრივი შეფასებისას თვითრეგულირების ორგანომ იხელმძღვანელა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით და დაადგინა, რომ არ არსებობდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევის და ამდენად, წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარისას, აღნიშნული უფლების რეალიზაციის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები. აქედან გამომდინარე, არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორების მოსაზრება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე და 33(3) მუხლების დარღვევის შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით არ დადგინდა ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 16(ა) მუხლის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 მუხლის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტი.

1.3.

არასამთავრობო ორგანიზაციების და ფიზიკური პირის ნინო ბოლქვაძის მიერ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 22.05.2014წ. გადაწყვეტილება 2014 წლის 23 ივნისს გასაჩივრდა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოში (შემდგომში - "სამეურვეო საბჭო"). სააპელაციო საჩივარში მხარეები აპელირებენ საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურების დარღვევასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სააპელაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფუნდამენტურად არასწორად განმარტავს საქმის არსს და სადავო ნორმების განხილვას პროფესიული ეთიკისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრიზმის ნაცვლად, სამართლებრივ ჭრილში ახორციელებს. შესაბამისად, "მაუწყებლობის შესახებ" კანონის 16(ა) მუხლის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 1-ლი, მე-4 და მე-17 მუხლების საფუძველზე, სააპელაციო საჩივრით არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირმა ნინო ბოლქვაძემ მოითხოვეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭომ გადახედოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 22 მაისის გადაწყვეტილებას და შეისწავლოს 19 აპრილს, 13:00 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის დროს კომენტატორად მოწვეული სასულიერო პირის განცხადების შესაბამისობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17, 31-ე და 33-ე მუხლებთან და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ქცევის კოდექსის მე-15 მუხლთან მიმართებაში. გარდა ამისა, სააპელაციო საჩივრის ავტორებმა ამ შემთხვევაშიც გარკვეული რეკომენდაციებით მიმართეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას.

2. სამართლებრივი შეფასება

სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდა 2014 წლის 14 ივლისს. აღნიშნულ სხდომაზე, კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. მიუხედავად ამისა, სამეურვეო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა

სასულიერო პირი და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (სხდომის ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე).

სამეურვეო საბჭომ მოისმინა სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და ფიზიკური პირის ნინო ბოლქვაძის ახსნა-განმარტებები და მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. *მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი პროცედურების დარღვევის შესახებ*

სამეურვეო საბჭო იზიარებს სააპელაციო საჩივრის ავტორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ საჩივრის განხილვა განხორციელდა მაუწყებლობის ქცევის კოდექსით დადგენილი პროცედურების დარღვევით. კერძოდ, დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ მოწვეული თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის სხდომაზე და არ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ საჩივრის განხილვაში. გამომდინარე აქედან, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების გაუქმების და სამეურვეო საბჭოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სამეურვეო საბჭო აქვე აღნიშნავს, რომ თვითრეგულირების ორგანოს მიერ საჩივარი განხილული იქნა კანონით დადგენილ ვადაში. კერძოდ, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირს საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი, რომლის გამოსწორებამდე საჩივრის განხილვის ვადა იყო შეჩერებული. შესაბამისად, მათი მხრიდან ხარვეზის გამოსწორებისთანავე აღნიშნული ვადა განახლდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ კომისიის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2014 წლის 22 მაისს, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი 21 დღის განმავლობაში.

საჩივრის განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარში აღნიშნული რეკომენდაციის შესახებ სამეურვეო საბჭო დამატებით განმარტავს, რომ თვითრეგულირების ორგანოს (როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო ინსტანციის) მიერ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები დეტალურად არის გაწერილი დებულებაში, რომელიც "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში დამტკიცებულია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით (დებულება განთავსებულია ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე).

შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს დამატებითი რეგულაციების მიღების აუცილებლობა. თუმცა, სამეურვეო საბჭო შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების კომისიას, რათა შემდგომში მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

2.2. *"მაუწყებლობის შესახებ" კანონის 16(ა) მუხლის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17, 31-ე და 33(3) მუხლების და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ქცევის კოდექსის მე-15 მუხლის დარღვევის შესახებ*

სამეურვეო საბჭო ეთანხმება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ დასაბუთებას და ანიჭებს რა პრიორიტეტს

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, თვლის, რომ 2014 წლის 19 აპრილს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირდაპირი ეთერით წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარისას, არ ჰქონდა ადგილი მაუწყებლობის შესახებ კანონის 16(ა) მუხლის და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17, 31-ე და 33(3) მუხლების, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-15 მუხლის დარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეურვეო საბჭომ იხელმძღვანელა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ზემოთ ხსენებული ნორმებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გაუქმდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევის გამო და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. 2014 წლის 19 აპრილს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირდაპირი ეთერით წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარისას არ იქნეს დადგენილი მაუწყებლობის შესახებ კანონის 16(ა) მუხლის და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17, 31-ე და 33(3) მუხლების, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-15 მუხლის დარღვევა.
3. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი სათანადოდ ვერ არეგულირებს არსებულ პრობლემებს და ხარვეზებს შეიცავს, სამეურვეო საბჭო, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში, იმუშავებს შესაბამისი პროცედურების და შიდა ლოკალური აქტების დახვეწაზე, ასევე, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა დაცული იქნას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ამავდროულად არ განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რელიგიური შინაარსის ტელეპროდუქციის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში განთავსების რეგულაციებს. აღნიშნული სამუშაოები გატარდება იმ რეფორმების ფარგლებში, რომლებზეც სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.
4. სამეურვეო საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია




სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კობრიძე



ქეთევან მსხილაძე


მარინა მუსხელიშვილი



ნათელა სახოკია

ლელა გაფრინდაშვილი

ალექსანდრე ვახტანგოვი



არგუმენტები, რომელთაც ჩემი პოზიცია ეფუძნება

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემოტანილი საჩივარი ეხება გენერალური დირექტორის 22 მაისის გადაწყვეტილებას და საბჭოსგან მოითხოვს მის გადახედვას. ეს მოთხოვნა სამართლიანია, რადგან საჩივრის განხილვის პირველ ეტაპზე დაირღვა სამართლიანი განხილვისა და გამჭვირვალების პრინციპები: განხილვაში არ მონაწილეობდნენ მხარეები და ეს პროცესი არ იყო დაკვირვებადი დაინტერესებული პირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამეურვეო საბჭოს 14 ივლისის სხდომამ ეს ხარვეზი გამოასწორა, მიმაჩნია, რომ გენერალური დირექტორის 22 მაისის გადაწყვეტილების გასაუქმებლად პირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომა საკმარის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.
თუმცა, საბჭოს წევრები შევთანხმდით, რომ ეს არგუმენტი არ გამოგვეყენებინა, რადგან ჩვენ, როგორც სააპელაციო ორგანომ, უკვე გადავწყვიტეთ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების გადახედვა.
2. ცხადია, მე ვაღიარებ და პატივს ვცემ ყველა ადამიანის უფლებას თავისუფლად და დაუბრკოლებლად გამოხატოს საკუთარი აზრი. მაგრამ ამასთანავე მიმაჩნია, რომ ამ უფლების ფლობა ავტომატურად ნიშნავს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ უნებლიედ არ დაარღვიო სხვა ადამიანის იგივე ან სხვა უფლება. უფლება-პასუხისმგებლობის და უფლება-მოვალეობის დაკავშირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და აუცილებელია მაშინ, როცა შენს მიერ გამოთქმულმა აზრმა შეიძლება შეურაცხყოს ან საფრთხე შეუქმნას ნებისმიერი სხვა ადამიანის, ინტერესთა ჯგუფის, მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებებს. გარდა ამისა, საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს ვალდებულება, რომ საკუთარი ეთერი არ დაუთმოს მასალას, რომელიც გაადვილებს სიძულვილს და შეუწინააღმდეგებს. ჩემი აზრით, მაუწყებელს შეიძლება მსგავსი განზრახვა არც ჰქონია, როცა სასულიერო პირს რელიგიური რიტუალი კომენტატორად იწვევდა, მაგრამ უნებლიედ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაისმა შეხედულებებისა და მოსაზრებების ერთობლიობა (სრულიად გასაგებია, რომ ეს მოსაზრებები შეიძლება გამომდინარეობდეს რელიგიური სწავლებიდან), რომლებიც შეურაცხმყოფელი ცნებებით და ეპითეტებით ახასიათებდა რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს.
3. ცხადია, არავის ეკრძალება უმრავლესობისაგან სხვადასხვა ნიშნით განსხვავებული და უმცირესობების წარმომადგენელი ჯგუფების შესახებ მსჯელობა, მაგრამ აზრის გამოთქმისას უმნიშვნელოვანესია არ გამოვიყენოთ სიძულვილის ენა, რომელიც საქართველოში კრიმინალიზებული არ არის და ამიტომაც არასებობს სიძულვილის გავრცელების და ნორმად ქცევის საფრთხე, ასეთი საფრთხე განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს საზოგადოების ნაწილი დაუპირისპირდა, როგორც კულტურის ფუნდამენტურ საფრთხეს. ამ მომენტში, ჩემი აზრით,

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ქეთევან მსხილაძის განსხვავებული პოზიცია

სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების ზოგ პუნქტს ვეთანხმები და ზოგს - არა. ვეთანხმები პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც გასაუქმებელია თვითრეგულირების ორგანოს წინა გადაწყვეტილება, რადგან დაირღვა სამართლიანი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი განხილვის პროცედურა. იმედი მაქვს, თვითრეგულირების ორგანო ასეთ პროცედურულ დარღვევებს აღარ დაუშვებს. ასევე ვეთანხმები გადაწყვეტილების მე-3 პუნქტს, რომ დასახვეწია მაუწყებლის ქცევის კოდექსი და შესამუშავებელია შესაბამისი პროცედურები და პრინციპები. ნაწილობრივ ვეთანხმებით საკითხს, რაზეც სამუშაო შეხვედრაზე ვიმსჯელებთ და რომელიც „საავტორო გადაცემის“ განსაზღვრას ეხება. ვფიქრობ, საჭიროა ქცევის კოდექსში განისაზღვროს არა მარტო „საავტორო გადაცემა“, არამედ ყველა ტიპის გადაცემა, რათა მომავალში თავიდან იქნეს გაუგებრობები აცილებული.

არ ვეთანხმები გადაწყვეტილების მთავარ, შინაარსობრივ ნაწილს ანუ, მე-2 პუნქტს; შესაბამისად, მე ხმას ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მივცემ. მოკლედ მოგახსენებთ, რატომ არ ვეთანხმები:

უდავოა, რომ სიტყვის თავისუფლება ხელშეუვალი უფლებაა; ისიც უდავოა, რომ სიტყვის თავისუფლებამ სხვა უფლებები არ უნდა შელახოს, მაგალითად, სიცოცხლის უფლება. ვეთანხმები საჩივრის ავტორებს, რომ წარმოდგენილი საჩივრების განხილვისას უპირატესობა პროფესიული ეთიკის პრინციპებს და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას უნდა მიენიჭოს; რაც მთავარია, ასეთი საჩივრის განხილვის უპირველესი მიზანი საზოგადოებისთვის შესაძლო ზიანის მიყენების აღმოფხვრა ან მინიმიზაცია უნდა იყოს. ასევე, ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, რითიც მსგავსი საკითხების განხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ, არის არსებული კონტექსტი. არსებულ კონტექსტში იგულისხმება: განცხადების გაკეთების დრო; საშუალება, რომლის მეშვეობითაც გაკეთდა განცხადება; ამ განცხადებაში აღნიშნული საკითხის თუ თემის ირგვლივ არსებული ვითარება და ფონი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოწვეული კომენტატორის მიერ გადაცემაში გამოთქმული მოსაზრებები ახალისებდა საზოგადოებაში უკვე არსებულ დაპირისპირებას და აღვივებდა ასევე უკვე არსებულ სიძულვილს საზოგადოების ერთი ჯგუფის - ლგბტ თემის - მიმართ. გავიხსენოთ 2013 წლის 17 მაისის მოვლენები, მის შემდეგ განვითარებული მოვლენები, როდესაც ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული განსხვავებული ვარცხნილობის თუ ჩაცმულობის მქონე ადამიანებზე; გავიხსენოთ, ასევე, უშუალოდ გასაჩივრებული განცხადების დროს არსებული კონტექსტი: ანტიდისკრიმინაციულ კანონის მიღების პროცესი, საზოგადოების ერთი ჯგუფის - რელიგიური ჯგუფის - გამოსვლები, აგრესიული განცხადებები და ბოლოს, საპარლამენტო კომიტეტში მოწყობილი განხილვა. სწორედ ეს კონტექსტი მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ საჩივარში აღნიშნული განცხადებები, რომლებიც გადაცემის კომენტარებისას გაკეთდა, იყო დაპირისპირების და შუღლის წახალისება და არა ამის პრევენცია. სხვა კონტექსტის შემთხვევაში, ასეთი განცხადებები, შესაძლოა, ძალადობის პრევენციად აღმექვა. ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული კონტექსტიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ

ეს განცხადებები წარმოადგენდა ზეწოლის გარკვეულ მცდელობას და ადრესატების დაშინებას - ამას თუ გააკეთებთ, ეს მოხდება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, აღიქმება თუ არ ამ კომენტატორის განცხადებები საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებებად. ჩემი აზრით და ღრმა რწმენით - აღიქმება. გადაცემაში იყო მოწვეული კომენტატორი და ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი; ეს უკანასკნელი გადაცემის კომენტირებაში მონაწილეობას, პრაქტიკულად, არ ლეზულობდა. გადაცემის მთავარი წამყვანი იყო მოწვეული კომენტატორი. ამ კომენტატორის განცხადებები იმ შემთხვევაში არ აღიქმებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პოზიციად, მაუწყებელს ცალკე რომ გამოეხატა თავისი პოზიცია, რეაგირებ რომ მოეხდინა კომენტატორის განცხადებაზე; თუ ამის გაკეთება უშუალოდ გადაცემის მსვლელობის დროს ვერ მოხერხდა, ეს რაიმე სხვა ფორმით უნდა გაკეთებულიყო, მაგალითად, ტელეეთერით სხვა გადაცემის დროს ან განცხადების გამოქვეყნებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე, რომელშიც საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის პოზიციას განმარტავდა. ამ შემთხვევაში მოწვეული კომენტატორის მიერ გამოთქმული მოსაზრება არ იქნებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პოზიციად აღქმული. ანალოგიისთვის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მაგალითს მოვიყვან, რომელიც ახლახან დასრულდა. საზოგადოებრივ მაუწყებელს მატჩების კომენტირებისთვის ჰყავდა როგორც საკუთარი თანამშრომლები, ასევე მოწვეული კომენტატორები. მაყურებლისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ აკეთებდა მატჩის კომენტირებას - კომენტირებით კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას მაყურებელი მაუწყებლის მისამართით გამოხატავდა.

მე პირადად მივესალმები ასეთ საჩივრებს. ისინი ხელს უწყობს ჟურნალისტური ეთიკის საკითხების დახვეწას და შესაბამისად, პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის გაძლიერებას; თვითრეგულირების ორგანოს მუშაობის და მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის გაუმჯობესებას; ასევე თავად მომჩივანების საჩივრების დახვეწას და საზოგადოებაში მედიაწიგნიერების გავრცელებას.